

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრი: მანანა მოისწრაფიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადობრივი კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **202949159**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 დეკემბრის №1094 ბრძანების საფუძველზე, 2018 წლის 12-14 დეკემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადობრივ კოლეჯში. 12 და 14 დეკემბერს ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №49-ში, ხოლო 13 დეკემბერს ვიზიტი განხორციელდა ქ. ქუთაისში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება (გეგმიური მონიტორინგი).

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, რომელიც დაწესებულებას წარედგინა ვიზიტის დღეს ვიზიტის ბრძანებასთან ერთად.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დღის წესრიგით **(დანართი 1)** განსაზღვრული ყველა აქტივობა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა წვდომა ყველა საჭირო დოკუმენტაციაზე.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ სწავლების განხორციელების ორივე მისამართზე ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში ჩატარდა ადგილზე დოკუმენტაციისა და ინფრასტრუქტურის შესწავლა, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუები. პროფესიულ სტუდენტებს დაესვათ შეკითხვები მიმდინარე სასწავლო პროცესზე და საორგანიზაციო საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული სტუდენტები გამოთქვამდნენ კმაყოფილებას სასწავლო გარემოს, სწავლების ხარისხის და სხვა აქტივობების შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ შეუფერხებლად იღებენ კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან მათთვის საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციებსა და რჩევებს.

ინტერვიუმ პროფესიულ მასწავლებლებთანაც ჩაიარა ნაყოფიერად. მათ დაადასტურეს მათი ჩართულობის შესახებ პროფესიული პროგრამების შემუშავების საკითხში, ყურადღებით მოისმინეს ექსპერტთა შენიშვნები და გამოხატეს მზაობა მონაწილეობა მიიღონ პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაში.

ვიზიტის ბოლო დღეს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა დაწესებულების ადმინისტრაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	□	■
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	□	■
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	□	■
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	☐	■
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

მონიტორინგის ვიზიტისას გამოიკვეთა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მატერიალური რესურსის სტანდარტის 2.1.1, 2.1.2 და 2.7 ქვესტანდარტების დარღვევა:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივმა კოლეჯმა (შემდგომში - საზოგადოებრივი კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებით. ამავე საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მიეცა უფლება მწვრთნელის მეოთხე საფეხურის და მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ასევე განეხორციელებინა ქ. ქუთაისში მისამართზე: უზნაძის ქ. № 26/როძევიჩის ქ. №2. საზოგადოებრივ კოლეჯში ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად, **აღმოჩნდა, რომ საზოგადოებრივი კოლეჯი 2018 წლის ნოემბრიდან საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს არა უზნაძის ქ. № 26/როძევიჩის ქ. № 2 - ში, არამედ სხვა მისამართზე: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №120 - ში.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30² მუხლის პირველი პუნქტის** თანახმად, **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო ფართის ან მისამართის ცვლილების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე 30 კალენდარული დღით ადრე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა, რა დროსაც დაწესებულება ვალდებულია შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყების შესახებ ცენტრს აცნობოს დაუყოვნებლივ და წარუდგინოს ფართის მართლზომიერ მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც არ მომხდარა.** აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ აღნიშნულ მისამართზე **არ დასტურდება უძრავი ქონების კანონიერი ფლობა - უძრავი ნივთის თხოვების ხელშეკრულება გაფორმებულია არაუფლებამოსილ პირთან, კერძოდ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, უძრავი ქონების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო უძრავი ნივთის თხოვების ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „კვანტთან“ (ს/კ: [redacted]),** რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, საზოგადოებრივი კოლეჯის კანონიერ მფლობელობაშია თბილისიდან გადმოცემული მცირედი ინვენტარი ადმინისტრაციისთვის (პრინტერი, სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი და საბიბლიოთეკო ფონდი) **ხოლო მერხები და სკამები, ასევე კომპიუტერული ტექნიკა სავარაუდოდ ეკუთვნის სახელმწიფოს,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. არსებულ შენობაში დროებით განთავსებულია ქ. ქუთაისის №17 საჯარო სკოლა, ინვენტარით მეორე ცვლაში ასევე სარგებლობენ საჯარო სკოლის მოსწავლეები. აღნიშნული დაადასტურა საჯარო სკოლის მანდატურის სამსახურმაც.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა კოლეჯმა წარმოადგინა 2018 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებული №01-01/133 წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისადმი, რომლითაც ითხოვენ ზემოაღნიშნული ფართის 6 წლის ვადით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემას.

ქუთაისში არსებული ფართი არაა ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. **1.1 ქვესტანდართან მიმართებით:**
   ცალკეულ სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა მითითებულია რუსულ ენაზე. აუცილებელია ყველა სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა უზრუნველყოფილი იქნას ქართულენოვანი ლიტერატურით ან ელექტრონული კონსპექტებით;
2. **2.9 ქვესტანდართან მიმართებით:**
   სასურველია სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე დაწესებულებამ შეიმუშავოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთდოლოგია, სამოქმედო გეგმა იყოს უფრო მკაფიო და განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები, სასურველია გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები და გარკვეული პერიოდულობით ხდებოდეს სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის, როგორც ქვეყნის ერთადერთი სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულების მისიაა, საეთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივი სპორტის დანერგვა/ განვითარებას და შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტისა და მოთხოვნების უზრუნველყოფას.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე და მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) და პროფესიული სტანდარტის მიხედვით შექმნილ 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (მწვრთნელის (სპორტის სახეობების მიხედვით) მეოთხე საფეხურის, მასაჟისტის მესამე საფეხურის და სამთო გამყოლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) რომელთა განხორციელების უფლება დაწესებულებამ მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამავე საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილებებით. წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია პროფესიულ კრედიტებში და ის შეესაბამება სათანადო პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოცულობას. შემუშავებულია სასწავლო კურსის სილაბუსები. ყველა წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №01/375 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის წესდების მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამებს ამტიცებს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ამავე წესდების მე-11 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი ასრულებს საზოგადოებრივი კოლეჯის მართვის ორგანოების ფუნქციებს ახლად დაფუძნებული ან/და რეორგანიზებული საზოგადოებრივი კოლეჯის პირველი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნამდე. შესაბამისად, 2014 წელს, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნამდე შემუშავებული პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2014 წლის 23 აგვისტოს №03-11 ბრძანებით, ხოლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2015-16 წლებში.

შენიშვნა: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში არ იყო დაცული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის თანაფარდობა მოცულობა საათებში. საგანმანათლებლო პროგრამებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები და დამტკიცდა განახლებული სახით.

დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს თავფურცელს, პროგრამის აღწერილობასა და დანართებს. პროგრამები აგებულია ჩარჩო დოკუმენტის თანმიმდევრული სტრუქტურის დაცვით, მათ შორის მითითებულია: პროგრამის საფეხური და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები. ასევე, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია. განცალკევებულად არის წარმოდგენილი ზოგადი მოდულები და პროფესიული სავალდებულო მოდულები. წარმოდგენილი პროგრამების სასწავლო გეგმები შედგენილია მოდულთა დაშვების წინაპირობების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის დაცვით.

2018 წლის 14 დეკემბერს განხორციელდა ვიზიტი მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის ობიექტზე - შპს რეას სამკურნალო რეაბილიტაციის ცენტრში, სადაც პროფესიული სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკის გავლას. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელსა და პრაქტიკის პედაგოგთან. ვიზუალური დათვალიერების, პრაქტიკის დღიურების შემოწმებისა და გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ პროფესიული სტუდენტები შეძლებდნენ პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

რეკომენდაცია:
ცალკეულ სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა მითითებულია რუსულ ენაზე. აუცილებელია ყველა სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა უზრუნველყოფილი იქნას ქართულენოვანი ლიტერატურით ან ელექტრონული კონსპექტებით;

დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები შემდეგ ობიექტებთან:

- შპს რეა - სამკურნალო რეაბილიტაციის ცენტრი;
- გაზეთი ლელო;
- შპს ივერია სპორტი;
- საქართველოს მეკლდეურობის ფედერაცია;
- შპს დიღომი 2008;
- საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია;
- საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით
- მემორანდუმებით პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის ხელმძღვანელთან ინტერვიუ პრაქტიკის ობიექტზე;

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საზოგადოებრივ კოლეჯში არსებობს 2018 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) რომელიც წარმოდგენილ იქნა ნაბეჭდი სახით, რომელიც ასევე განთავსებულის ვებ-გვერდზე. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ (ისტორია, მისია, ხედვა, საკონტაქტო მონაცემები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, საგანმანათლებლო პროგრამების აღწერას, მიზნებს, სწავლის შედეგებისა და კრედიტების შესახებ ინფორმაციას, მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, პროგრამების ხანგრძლივობას, პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- **კატალოგით** http://www.sportcolle.ge/img/category/1544529748.pdf

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამები: „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ და „მასაჟისტ-რეაბილიტატორი“ შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებს. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ასევე პროფესიული საგანამანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამისთვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების , შეჩერების, შეწყვეტის და მობილობით სარგებლობის წესი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურებს, მობილობის პროცესს და მიღებული განათლების აღიარების პროცედურას. შემოწმდა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა. აგრეთვე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში შემოწმდა პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, სტუდენტის სტატუსები კანონმდებლობით დადგენილი წესით იყო მინიჭებული/შეჩერებული/შეწყვეტილი.ხოლო სტუდენტთა რაოდენობა კონკრეტულ პროგრამებზე შეესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ზღვულ ოდენობებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ სწავლის დაწყებისას დაწესებულებამ გააცნო პროფესიულ სტუდენტებს რეგულაციები მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

შენიშვნა: სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესში აღნიშნული იყო, რომ სტატუს შეჩერებული სტუდენტი არ განიხილებოდა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში, ასევე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სტუდენტის სტატუსის ასახვის ვადად მითითებული იყო 5 დღე, ნაცვლად 3 დღისა. ზემოაღნიშნულ რეგულაციებში ვიზიტის დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შევიდა ცვლილება და მოყვანილ იქნა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, სტატუსშეჩერებული სტუდენტი განიხილება სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში და დირექტორია მიერ გამოცემული ინდივიდულური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი სისტემაში აისახება 3 დღეში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზით;
- პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუთი.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა გამოყენებით უზრუნველყოფს სტუდენტთათვის სწავლის გაგრძელებას.გაფორმებული აქვს მემორანდუმები შესაბამისი პროგრამების განმახორციელებელ კოლეჯებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- მემორანდუმებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებელი მექანიზმები. ისინი წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით აფასებენ მეცადინეობების ხარისხს, ახდენენ პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვებს კითხვარების გამოყენებით. მათ მიერ წარმოდგენილი იქნა ლექციებზე დასწრების შედეგები, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარები, სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ამსახველი დოკუმენტები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიშები. გამომდინარე აღნიშნულიდან, დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას და მის შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მეცადინეობების შეფასების გრაფიკები;
- კითხვარები პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი 49-ში, ოთხსართულიანი შენობის მესამე სართულზე. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, რომელსაც სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სარგებლობის უფლებით, დაწესებულების არსებობის ვადით გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები. 2014 წლის 13 ივნისს სასწავლო უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ კოლეჯს შორის გაფორმებულია უძრავი ნივთის თხოვების უსასყიდლო ხელშეკრულება 6 წლის ვადით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი 49 (მესამე სართული) საკადასტრო კოდი:[redacted]	835

აღსანიშნავია, რომ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივმა კოლეჯმა (შემდგომში - საზოგადოებრივი კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №24 გადაწყვეტილებით. ამავე საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მიეცა უფლება მწვრთნელის მეოთხე საფეხურის და მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ასევე განეხორციელებინა ქ. ქუთაისში მისამართზე: უზნაძის ქ. № 26/რომევიჩის ქ. №2. საზოგადოებრივ კოლეჯში ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად, **აღმოჩნდა, რომ საზოგადოებრივი კოლეჯი 2018 წლის ნოემბრიდან საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს არა უზნაძის ქ. № 26/რომევიჩის ქ. № 2 - ში, არამედ სხვა მისამართზე: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №120 - ში**.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

30[2] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო ფართის ან მისამართის ცვლილების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე 30 კალენდარული დღით ადრე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა, რა დროსაც დაწესებულება ვალდებულია შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყების შესახებ ცენტრს აცნობოს დაუყოვნებლივ და წარუდგინოს ფართის მართლზომიერ მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც არ მომხდარა.** აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ აღნიშნულ მისამართზე **არ დასტურდება უძრავი ქონების კანონიერი ფლობა - უძრავი ნივთის თხოვების ხელშეკრულება გაფორმებულია არაუფლებამოსილ პირთან, კერძოდ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, უძრავი ქონების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო უძრავი ნივთის თხოვების ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „კვანტთან“ (ს/კ: [redacted]),** რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, საზოგადოებრივი კოლეჯის კანონიერ მფლობელობაშია თბილისიდან გადმოცემული მცირედი ინვენტარი ადმინისტრაციისთვის (პრინტერი, სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი და საბიბლიოთეკო ფონდი) **ხოლო მერხები და სკამები, ასევე კომპიუტერული ტექნიკა სავარაუდოდ ეკუთვნის სახელმწიფოს, რომლის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.** არსებულ შენობაში დროებით განთავსებულია ქ. ქუთაისის №17 საჯარო სკოლა, ინვენტარით მეორე ცვლაში ასევე სარგებლობენ საჯარო სკოლის მოსწავლეები. აღნიშნული დაადასტურა საჯარო სკოლის მანდატურის სამსახურმაც.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა კოლეჯმა წარმოადგინა 2018 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებული №01-01/133 წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისადმი, რომლითაც ითხოვენ ზემოაღნიშნული ფართის 6 წლის ვადით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted] - 05/04/2018 (თბილისი)
- უძრავი ნივთის თხოვების ხელშეკრულებით 13.06.2014 (თბილისი)
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted]-16/03/2018 (ქუთაისი) **(დანართი 2)**
- უძრავი ნივთის თხოვების ხელშეკრულება 01/11/2018 (ქუთაისი) **(დანართი 3)**

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

[redacted] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თბილისის ფართზე:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო მოდულებში მითითებულია მოდულის განხორციელების ადგილი (მისამართი, აუდიტორიის ნომერი, კაბინეტის დასახელება). ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს მოდულის განხორციელების ადგილები და განსაზღვრეს, რომ მათი პარამეტრები შესაბამისობაშია სტანდარტულ მოდულების ასახულ სასწავლო გარემოს მოდელის მახასიათებლებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით.

ქუთაისის ფართზე:

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებრივი კოლეჯის კანონიერ მფლობელობაშია თბილისიდან გადმოცემული მცირედი ინვენტარი ადმინისტრაციისთვის (პრინტერი, სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი და საბიბლიოთეკო ფონდი) **ხოლო მერხები და სკამები, ასევე კომპიუტერული ტექნიკა სავარაუდოდ ეკუთვნის სახელმწიფოს, რომლის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.** არსებულ შენობაში დროებით განთავსებულია ქ. ქუთაისის №17 საჯარო სკოლა, ინვენტარით მეორე ცვლაში ასევე სარგებლობენ საჯარო სკოლის მოსწავლეები. აღნიშნული დაადასტურა საჯარო სკოლის მანდატურის სამსახურმაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თბილისის შემთხვევაში დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, ცენტრალური გათბობა, ოთახების ნაწილში დამონტაჟებულია „ზამთარი–ზაფხულის ტიპის კონდიციონერები.

ხოლო ქუთაისის შემთხვევაში მართალია ფაქტობრივად არსებობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულება კანონიერად არ ფლობს შენობას სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით
- შესაბამის ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულებას აქვს წიგნადი ფონდი, როგორც ბეჭდური ისე ელექტრონულ მატარებლებზე;

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, ორივე პროგრამიდან შერჩევითად გადამოწმებულ იქნა მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. შერჩეული მოდულებიდან ყველა სასწავლო სახელმძღვანელო არის ბიბლიოთეკაში როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, სასწავლო სახელმძღვანელოები გატარებულია საინვენტარო წიგნებში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ბიბლიოთეკებში **(თბილისსა და ქუთაისში)** არსებობს ანბანური და ელექტრონული კატალოგები. კოლეჯი ჩართულია OPEN BIBLIO–ში. კოლეჯის ბიბლიოთეკას ემსახურება დირექტორის მიერ დანიშნული ბიბლიოთეკარი. **ქუთაისის ფართზე** საბიბლიოთეკო ფონდი გადაცემულია ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ და სათანადოდაა მოწყობილი, ბიბლიოთეკარის ფუნქციას ითავსებს საქმისმწარმოებელი.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

დასტურდება:

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- საინვენტარო წიგნით;
- საბიბლიოთეკო რესურსების ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ბალანსზე ირიცხება 26 კომპიუტერი, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინტერნეტით წვდომა, კოლეჯის ადმინისტრაცია დაწესებულების მართვაში იყენებს 7კომპიუტერს, ხოლო სტუდენტებისთვის იყენებს 19 კომპიუტერს. **ქუთაისში** დაწესებულება მართვისათვის იყენებს 1 კომპიუტერს და 1 პრინტერს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების ბალანსით
- შესყიდვის დოკუმენტაციით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გამოცემული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის მიმდინარეობს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. აქტების აღრიცხვა ხდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც დანომრილია დალუქულია, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია დირექტორის მიერ. **ქუთაისის შემთხვევაში,** ცალკე კორესპონდენციის აღრიცხვა არ ხდება, შემოსული და გასული წერილის ნომრები რეგისტრირდება ტელეფონის ან/და ელ-ფოსტის მეშვეობით თბილისში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. კოლეჯი ასევე აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრები, რომელიც იყო დამუხტული და ვადიანი.

კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი.

კოლეჯი უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის აღჭურვას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტებით.

წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება დარაჯები, ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან. შემუშავებულია წესრიგის დაცვის მექანიზმი.

ქუთაისის შემთხვევაში შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები თუმცა როგორც წინა ქვესტანდარტებში აღინიშნა, დაწესებულება შენობას არ ფლობს კანონიერად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საევაკუაციო გეგმით და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით;
- ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის არის ეზოდან შენობაში შესასვლელი პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები და ასაკეცი ხის პანდუსები, **ქუთაისის შემთხვევაში** გარემო არაა ადაპტირებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიისა და განვითარების, კოლეჯის სტრუქტურის, საკონტაქტო ინფორმაციის, ადმინისტრაციისა და პედაგოგიური რესურსების შესახებ, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კოლეჯში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩარიცხული სტუდენტების, ცხრილების, მიმდინარე გამოცდების, პარტნიორების, ღონისძიებების, სამართლებრივი აქტების და სხვ. შესახებ. აგრეთვე განთავსებულია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები, გალერეა, სასარგებლო ბმულები. ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია.აწსე

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- http://www.sportcolle.ge/
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს, გაუზიაროს საკუთარი სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.სამოქმედო გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან რაც რაც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმებში არ არის გაწერილი პასუხისმგებელი პირები და არ ხდება სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი.

რეკომენდაცია:

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის მიღების შემდეგ (2014 წელი) დოკუმენტი არ გადამუშავებულა. სასურველია სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე დაწესებულებამ შეიმუშავოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთდოლოგია, სამოქმედო გეგმა იყოს უფრო მკაფიო და განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები, სასურველია გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის მექანიზმები და გარკვეული პერიოდულობით ხდებოდეს სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საზოგადოებრივ კოლეჯში საშტატო თანამდებობების დასახელებები და სახელფასო ფონდი შეთანხმებულია საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრთან და შედგება 48 საშტატო ერთეულისგან. დირექტორი, დირექტორის მოადგილე (2) მთავარი ბუღალტერი, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, შიდა უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, შესყიდვების სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, იურისტი, საქმისმწარმოებელი, პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელი, სამეურნეო ნაწილის მენეჯერი, პედაგოგი (35) ქუთაისი - ფართის ხელმძღვანელი, ინსპექტირების სამსახურის სპეციალისტი, IT სისტემის სპაციალისტი, ფასიანი სწავლების კოორდინატორი, პედაგოგები (10). დაწესებულებას გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა ინტერვიუ როგორც ადმინისტრაციულ პერსონალთან ისე რამოდენიმე პედაგოგთან. ინტერვიუთი გამოვლინდა მათი ჩართულობა პროგრამის შექმნის/გაუმჯობესების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საშტატო განრიგით;*
- *პერსონალის პირადი საქმეებით;*
- *ინტერვიუირებით.*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

Evet.emis.ge ზე გადამოწმებითა და პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 45, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაა 381

პირადი საქმეების შესწავლამ და ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ ყველა მათგანის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით
- პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისად. კერძოდ, პირი სამსახურში მიიღება პირადი განცხადებისა და დირექტორის ბრძანების/ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობით, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა და დასაქმებულთა თანამდებობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით/კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომლითაც დასტურდება კოლეჯის ნება პირის სამუშაოზე მიღების შესახებ. შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით
- პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით.
-

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
დანართი 3. თხოვების ხელშეკრულება.

19.01.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: